

მოპირკეთების წესები



პროექტის კონცეფციიდან გამომდინარე, შეირჩა რეკომენდებული ფერტა პალიტრა, რომელიც ეყრდნობა ბუნებრივ ლანდშაფტთან ადაპტაციის პრინციპს. მარცვლოვანი, ღრმა ტონალობები ხაზს უსვამს გარემოს ბუნებრივ ფერს და არ არღვევს ვიზუალურ ჰარმონიას - როგორც ახლო ხედიდან, ასევე პანორამული აღქმისას.

ფერების შერჩევის წესი

სატურაცია < 25%



სიკაშკაშე < 40%



შენობის განთავსება

შენობის დასაშვები მაქსიმალური სიმაღლე - 12 მ.



იმისათვის, რომ შენარჩუნდეს გამჭოლი ხედები და სივრცე თითოეული მობინადრისთვის, შენობა-ნაგებობების განთავსება არ დაიშვება ზონებში, რომლებიც ნახაზზე არის აღნიშნული როგორც ხედვის დერეფანი.

ფასადი

ფასადზე ფერების განაწილება ეფუძნება ლანდშაფტისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ ლოგიკას: მუქი ფერები ნაწილობრივ - მუქ, ზედა ნაწილობრივ კი - შედარებით ღია ტონებში უნდა შესრულდეს



ქვის კედელი



ღია ფერის ხე



ლოკალურად მოპოვებული ქვა



ნაცრისფერი კლინკერი



ჩამოსხმული ბეტონი



მუქი ჩამოსხმული ბეტონი



მუქი კორტენის ფოლადი




გამომწვარი ხე



დაშვებულია ფასადების, კედლების და მცირე არქიტექტურული ფორმების ნებისმერი სახის ბუნებრივი მასალით მოპირკეთება. დაუშვებელია ბუნებრივი მასალის იმიტაციის გამოყენება.

გადახურვა

დახრილი სახურავის მოწყობისას ყველა ქანობის გრადუსი (დახრილობა) უნდა იყოს თანაბარი. დასახლების ერთიანი იერსახის მისაღწევად, გადახურვის ფერთა პალიტრა განისაზღვრა მუქ ტონებში.




მეტალი



ბიტუმიანი კრამიტი



კერამიკული ფილა




სახურავის შებენი

დაუშვებელია არათანაბარი კუთხის გადახურვის დაგეგმარება, მათ შორის ცალკეულ დონეზე

ბიომრავალფეროვნება ტერიტორიაზე


პროექტი : ნაკვისი გარშემორტყმულია ტყის მასივით. დასახლების ტერიტორიაზე ვხვდებით მრავალნაირხეობის ჩანართებს, რაც დაახლოებით მთლიანი გასავითარებელი სივრცის 20%-ს შეადგენს.

დიზაინ კოდის რეგულაციებით, სავალდებულოა არსებული მცენარეული საფარის შენარჩუნება და დაცვა. ახალი ნარგავების შეტანა ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს ადგილობრივი მიკროკლიმატის და ლანდშაფტის გათვალისწინებით.



ლანდშაფტი

მიწის შემაკავებელი და მზიდი კედლის მაქსიმალური სიმაღლე - 1.6 მეტრი





1.6 მეტრზე მაღალი კედლის გამოყენება:

- ინვესტს წვიმის წყლის შეგუბებას
- არღვევს ლანდშაფტის გეოლოგიურ სტაბილურობას
- წინააღმდეგობაში მოდის ლანდშაფტის ბუნებრივი იერსახის შენარჩუნებასთან



შემოღობვის წესები

წინა ეზოს გზასთან გამყოფი ზოლის შემოღობვისას, დასაშვებია მხოლოდ გამჭვირვალე / ნანილობრივ გამჭვირვალე და მწვანე ღობის გამოყენება.

სამეზობლო საზღვრების გამოყოფი ზოლის შემოღობვისას, დასაშვებია მცირე ზომის ყრუ დეტალების გამოყენება (მიწის ნიშნულიდან არაუმეტეს 1.6 მ სიმაღლის), ასევე გამჭვირვალე / ნანილობრივ გამჭვირვალე და მწვანე ღობის.




● წინა ეზოს გამყოფი ზოლი



● სამეზობლო საზღვრების გამყოფი ზოლი

შენობის მდებარეობა

წინა ეზოს კონტური თითოეული ნაკვეთისთვის განსაზღვრულია წინასწარ, უკვე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით.



● წინა ეზო

